



ფარმაცევტული და კოსმეტოლოგიური ტექნოლოგიები

პროგრამის სახელწოდება	ფარმაცევტული და კოსმეტოლოგიური ტექნოლოგიები
პროგრამის ხელმძღვანელი	თსსუ-ის პროფესორი ალიოშა ბაკურიძე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ფარმაციის მაგისტრი
პროგრამის მოცულობა კრედიტებით	120 კრედიტი
სწავლების ენა	ქართული
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, რომელიც მიმართულია სტუდენტის კომპეტენციების გამომუშავებასა და დასაქმების სფეროს განსაზღვრაზე	<p>სამაგისტრო პროგრამის „ფარმაცევტული და კოსმეტოლოგიური ტექნოლოგიები“ მიზანია</p> <p>ა) სტუდენტს/მაგისტრანტს მისცეს ღრმა და სისტემური ცოდნა/კომპეტენცია:</p> <ul style="list-style-type: none"> - ბუნებრივი და სინთეზური ნედლეულის რაციონალური გადამუშავების, ეფექტიანი, ხარისხიანი და უსაფრთხო ფარმაცევტული და კოსმეტოლოგიურ-პარფიუმერიული პროდუქციის დამზადების, სერიული წარმოების და შემუშავების ფიზიკური, ქიმიური, ბიოლოგიური და ტექნოლოგიური კანონზომიერებების შესახებ; - ეფექტიანი და უსაფრთხო კოსმეტიკური ნაწარმის გამოყენების სამედიცინო-ბიოლოგიური პრინციპების შესახებ; - ფარმაცევტულ და კოსმეტოლოგიურ-პარფიუმერულ ტექნოლოგიებში თანამედროვე ტენდენციების, კვლევების, კვლევის მეთოდების და მათი შესაძლებლობების გამოყენების შესახებ; <p>ბ) სტუდენტი/მაგისტრანტი აღჭურვოს კარგი საწარმოო პრაქტიკის (GMP) პრინციპების დაცვით, ფარმაცევტული და კოსმეტოლოგიურ-პარფიუმერიული ტექნოლოგიების დამოუკიდებლად განხორციელებისა და მართვის უნარ ჩვევებით.</p>
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	<p>სამაგისტრო პროგრამაზე სტუდენტის დაშვების წინაპირობაა:</p> <p>ა) ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ფარმაციაში, მედიცინის სხვადასხვა მიმართულებაში, ქიმიური და კვების პროდუქტების ტექნოლოგიებში და დიპლომირებული მედიკოსის აკადემიური ხარისხი;</p>

	<p>ბ) საერთო სამაგისტრო გამოცდის წარმატებით ჩაბარება;</p> <p>გ) შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების წარმატებით ჩაბარება.</p> <p>შიდასაუნივერსიტეტო გამოცდები შედგება ორი გამოცდისაგან : სპეციალობაში – „ფარმაცევტული და კოსმეტოლოგიური ტექნოლოგიები“ და უცხოური ენა – „ინგლისური ენა“ (შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების ფორმა – ტესტირებული).</p>
<p>სწავლის შედეგი</p>	<p>კურსდამთავრებულმა იცის:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. ბუნებრივი და სინთეზური ნედლეულის რაციონალური გადამუშავების, ეფექტიანი, ხარისხიანი და უსაფრთხო ფარმაცევტული, კოსმეტოლოგიურ-პარფიუმერიული პროდუქციის დამზადების, სერიული წარმოების და შემუშავების ფიზიკური, ქიმიური, ბიოლოგიური, ტექნოლოგიური კანონზომიერებების და გამოყენებული აპარატურა-მანქანების მუშაობის პრინციპების შესახებ; 2. ადამიანის კანის სტრუქტურის, ფუნქციების, დაავადებების და მომხმარებლისათვის ეფექტიანი და უსაფრთხო კოსმეტოლოგიურ ნაწარმის შერჩევის სამედიცინო-ბიოლოგიური პრინციპების შესახებ; 3. ფარმაცევტული და კოსმეტოლოგიურ-პარფიუმერიული ბიზნესის ადმინისტრირების პრინციპების შესახებ; 4. კურსდამთავრებული აცნობიერებს: კვლევის შედეგების კრიტიკული გააზრების და გამოყენების მნიშვნელობას ინოვაციური, რესურსდამზოგავი ტექნოლოგიების შემუშავებისა და განვითარებისათვის. <p>უნარი</p> <p>კურსდამთავრებულს შეუძლია:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. დამოუკიდებლად ბუნებრივი და სინთეზური ნედლეულის რაციონალური გადამუშავება, ეფექტიანი, ხარისხიანი და უსაფრთხო ფარმაცევტული და კოსმეტოლოგიურ-პარფიუმერიული პროდუქციის დამზადება, სერიული წარმოება, აპარატურა-მანქანების უსაფრთხოდ ექსპლოატაცია, ტექნოლოგიების მართვა კარგი საწარმოო პრაქტიკის (GMP) პრინციპების მიხედვით და მომხმარებლისათვის კოსმეტოლოგიური ნაწარმის შერჩევა-გამოყენებაზე კვალიფიციური კონსულტაცია; 2. შეუძლია ტექნოლოგიური პროცესის განხორციელების დროს წამოჭრილი კომპლექსური პრობლემების იდენტიფიცირება, გამომწვევი მიზეზების გაანალიზება, შეფასება, ორიგინალური გზების ძიება და ადეკვატური რეაგირება; დამოუკიდებლად, უახლესი მეთოდებით და მიდგომებით კვლევების ჩატარება; 3. პროდუქციის, პროცესის სრულყოფის და შემუშავების პროცესში უახლესი კვლევების კრიტიკული ანალიზი, ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი, შეფასება და დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება;

	<p>4.საკუთარი დასკვნების, არგუმენტების და კვლევის შედეგების წარდგენა აკადემიური და პროფესიული საზოგადოებისათვის ქართულ და უცხოურ ენებზე აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვით და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით;</p> <p>პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა :</p> <p>შეუძლია:</p> <p>1.შეაფასოს და დაამკვიდროს რესურსდამზოგავი, ეკოლოგიურად უსაფრთხო „მწვანე ტექნოლოგიები“, რაც ხელს შეუწყობს, ბუნებრივი გარემოს დაცვას, სოციალური პასუხისმგებლობისა და საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლებას, ასევე შესაბამისი დარგების განვითარებას;</p> <p>2.საკუთარი ცოდნისა და უნარ-ჩვევების ობიექტურად შეფასება. სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერება, მისი სტრატეგიულად მაღალ დონეზე დაგეგმარება და სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა.</p>
<p>სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები</p>	<ul style="list-style-type: none"> - დისკუსია/ დებატები, - ჯგუფური(collaborative)მუშაობა, - პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL), - შემთხვევის ანალიზი- (Case study), - დემონსტრირების მეთოდი, - ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი, - ახსნა- განმარტებითი მეთოდი, - ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, - პრაქტიკული მეთოდები, - ვერბალური მეთოდი, - წერიტი მუშაობის მეთოდი
<p>სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა</p>	<p>სტუდენტის/მაგისტრანტის მიერ გაწეული შრომის შეფასება ითვალისწინებს:</p> <p>ა) შუალედურ შეფასებას (სტუდენტის შესასრულებელი ყველა სავალდებულო კომპონენტი, რომელიც გათვალისწინებულია სასწავლო კურსის/ მოდულის სილაბუსის შესაბამისად);</p> <p>ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას. სასწავლო კურსის/მოდულის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია, საიდანაც დასკვნითი გამოცდის მაქსიმალურ შეფასებას ეთმობა 40 ქულა.</p> <p>შეფასების მეთოდებიდან ძირითადად გამოიყენება:</p> <p>ტესტური, ზეპირი ან კომბინირებული შემაჯამებელი გამოცდა.</p> <p>არსებობს ხუთი სახის დადებითი და ორი სახის უარყოფითი შეფასება.</p> <p>დადებითი შეფასებებია:</p> <p>ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91-100 %;</p> <p>ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81- 90%;</p> <p>გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71- 80%;</p>

დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;

ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%.

უარყოფითი შეფასებებია:

ა) (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. თანაფარდობა შეფასების სხვადასხვა კომპონენტს შორის განისაზღვრება სამაგისტრო პროგრამის შემადგენელი ცალკეული სასწავლო კურსის სილაბუსით.

საბოლოო შეფასებაში (შუალედური და საგამოცდო შეფასებათა ჯამი) გამოცდის წილი არ აღემატება 40%. მაგისტრანტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში.

დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არა ნაკლებ 5 დღისა.

საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრიტერიუმებით, 100-ქულიანი სისტემით ხდება, აგრეთვე, პრაქტიკის, სამაგისტრო ან/და სხვა სახის ნაშრომების შეფასებაც. სამაგისტრო ნაშრომის დაცვის საკვალიფიკაციო კომისიის წევრები სამაგისტრო ნაშრომს აფასებენ 0-100 ქულით.

სამაგისტრო ნაშრომის შეფასება დგინდება სამაგისტრო ნაშრომების დაცვის საკვალიფიკაციო კომისიის წევრების მიერ მინიჭებულ ქულათა ჯამის საშუალო არითმეტიკულით.

სამაგისტრო ნაშრომის 51 და მეტი ქულით შეფასებისას ნაშრომი ითვლება დაცულად შეფასების ქულათა შემდეგი გრადაციით:

91-100 ქულა – საუკეთესო ნაშრომი,

81-90 ქულა – ძალიან კარგი ნაშრომი,

71-80 ქულა – კარგი ნაშრომი,

61-70 ქულა – საშუალო დონის ნაშრომი,

51-60 ქულა – დამაკმაყოფილებელი ნაშრომი,

0-50 ქულა – არადამაკმაყოფილებელი ნაშრომი.

სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე საპატიო მიზეზით (ავადმყოფობა დასხვ.) გამოუცხადებლობის შემთხვევაში ნაშრომი დასაცავად შეიძლება წარდგენილ იქნეს 1 თვის განმავლობაში, ან სამაგისტრო ნაშრომების მომდევნო დაცვაზე, შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს თანხმობით.

საჯარო დაცვაზე სამაგისტრო ნაშრომის 51 ქულაზე ნაკლები შეფასების შემთხვევაში განმეორებითი დაცვა შესაძლებელია სამაგისტრო

ნაშრომების მომდევნო დაცვაზე, შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს თანხმობით.

სამაგისტრო ნაშრომი დასაცავად შეიძლება წარდგენილ იქნეს არაუმეტეს ორჯერ, სასწავლო კომპონენტის შენახვით.